ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი

"საერთაშორისო ურთიერთობებისა"

და

"გენდერის კვლევის"

საერთაშორისო სადოქტორო პროგრამების რეგულაცია

2010-2014 სასწავლო წლებისთვის

პროგრამები ხორციელდება სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიმდინარე პროექტის
"საერთაშორისო სადოქტორო პროგრამები თსუ-ს
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე" ფარგლებში
(Graduate programs at the FSPS Tbilisi State University)

CSS გრანტის კოდი EO476

დონორი: ღია საზოგადოების ინსტიტუტის უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამა (OSI HESP, OSI-ZUG Foundation)

სარჩევი

სარჩევი 2
სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის შესახებ 3
საერთაშორისო სადოქტორო პროგრამების მართვა და ადმინისტრირება: 4
ინსტიტუციონალური მდგრადობა 6
სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ადმინისტრაცია 6
აკადემიური საბჭო 7
მიმღები კომისია 7
კვლევითი პროექტი დაცვის კომისიისთვის 7
სამაგისტრო და სადოქტორო თეზისების დაცვის კომისია 7
სადოქტორო პროგრამების აკადემიური ხელმძღვანელები და მოწვეული პროფესორები ... 8
პროგრამის აკადემიური პერსონალი 8
ინტერინსტიტუციონალური თანამშრომლობა 8
ხარისხის უზრუნველყოფა 8
თსუ-ს სადოქტორო პროგრამების სტრუქტურა 9
სადოქტორო პროგრამების მიმოხილვა: 9
სადოქტორო პროგრამის დიზაინი: 9
კურიკულუმი დისციპლინების მიხედვით 10
საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა საერთაშორისო ურთიერთობებში 10
საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა გენდერის კვლევაში 11
ჩარიცხვა და ფინანსური დახმარება: 13
მიღების მოთხოვნები: 13
მიღების პროცედურა და შერჩევა 13
საბუთების მიღების ვადები და მისაღები გამოცდები: 14
საბუთების ჩაბარების ვადები და მისაღები გამოცდები: 14
სტიპენდიები საერთაშორისო სადოქტორო პროგრამებისთვის: 15
სოციალურ მეცნიერებათა ცენტრისა და თსუ-ს ვალდებულებები.....
სადოქტორო სტუდენტებისადმი 15
რესურსები 16
სადოქტორო პროგრამების ხანგრძლივობა 16
სადოქტორო პროგრამების დეტალური ვადები 16
სტუდენტების პროგრესი და კანდიდატობა 17
სადოქტორო თეზისის აკადემიური ხელმძღვანელობა 18
სადოქტორო ნაშრომის წერის პროცედურა და მოთხოვნები 18
სადოქტორო ნაშრომის წარდგენა 19
სადოქტორო ნაშრომის წერილობითი შეფასება ექსპერტების მიერ 19
საერთაშორისო სადოქტორო პროგრამების აკადემიური საბჭო 20
სადოქტორო ნაშრომების დაცვის კომისია 20
სადოქტორო ნაშრომის დაცვის პროცედურა 20
სადოქტორო ნაშრომის საბოლოო შეფასება 21
დოქტორის ხარისხის დამტკიცება 21
ხარისხის გაუქმება 21
დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება და დიპლომი 21
პუბლიკაცია 21
დასკვნითი საკითხები 21
ძირითადი მხარდამჭერი და პარტნიორი უნივერსიტეტები: 22
საკონტაქტო ინფორმაცია და სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ადმინისტრაცია 22
დანართი # 1 - კვლევის მეთოდების მოდული 23

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის შესახებ

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი ღია საზოგადოების ინსტიტუტის უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის ქსელური ინსტიტუტია სამხრეთ კავკასიაში და დააკვებულია საქართველოში სოციალურ მეცნიერებათა კვლევისა და ხარისხიანი სწავლების განვითარებით.

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი არასამთავრობო არამომგებიანი ორგანიზაციაა, რომელიც დაარსდა 2003 წლის ნოემბერში ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოს სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამის (SSSP 2000–2003) საქმიანობებსა და რესურსებზე დაყრდნობით. ცენტრის მისიაა სოციალურ მეცნიერებათა მკვლევართა და პრაქტიკოსთა მაღალკვალიფიციური ახალი თაობის მომზადება სოციალურ მეცნიერებებში კვლევისა და სწავლების მხარდაჭერის მეშვეობით და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა საქართველოს ინტერნაციონალიზაციის პირობებში. ცენტრის მიზანია საქართველოში სოციალურ მეცნიერებებში - კვლევის, სწავლებისა და სწავლის განვითარება, - საერთაშორისო აკადემიურ ქსელში მკვლევართა ინტეგრირება, - პროფესიონალთა კვალიფიკაციის ამაღლება. ცენტრი მუშაობს თეორიული ცოდნის გაღრმავებასა და გავრცელებისათვის, კვლევის მეთოდებისა და კვლევის უნარჩვევების განვითარების მიმართულებით საერთაშორისო ურთიერთობებესა და გენდერის კვლევის სფეროში. წინა წლებში ცენტრის სამიზნე დისციპლინები იყო აგრეთვე სოციოლოგია და პოლიტიკური მეცნიერება.

ცენტრმა დაისახა მიზნად გახდეს სარეხურსო ცენტრი და ქსელური ინსტიტუტი საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისა და პროფესორ - მასწავლებლებისათვის, აგრეთვე სოციალურ მეცნიერებებში დაკავებული პრაქტიკოსი-მკვლევარებისათვის, რასაც ახორციელებს კვლევისა და სწავლების მაღალი სტანდარტების განვითარებისა და გავრცელების ხელშეწყობით. ცენტრი ახორციელებს სემინარებსა და საჯარო ლექციებს, რომელთაც წარმართავენ როგორც საერთაშორისო მოწვეული პროფესორები, აგრეთვე ადგილობრივი ლექტორები და უზიარებენ ფართო საზოგადოებას ინფორმაციას მიმდინარე კვლევითი პროექტების შესახებ. ცენტრის ბიბლიოთეკა ღიაა ყველა დაინტერესებული პირისათვის, ვინც ჩართულია სოციალურ მეცნიერებათა კვლევასა და სწავლებაში. თსუ-ს პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ცენტრის ბიბლიოთეკის მთავარი მომხმარებლები არიან.

სოციალურ მეცნიერებებში კვლევისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების გარდა სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი მიზნად ისახავს გახდეს საქართველოში უმაღლესი განათლების რეფორმის ორგანიზაციული მოდელი, რომელიც დაინერგება სხვა უნივერსიტეტებსა და უმაღლესი განათლების ინსტიტუტებში.

ცენტრის მთავარი ამოცანაა დაარსდეს, როგორც სოციალურ მეცნიერებათა კვლევისა და ანალიზის სარესურსო ცენტრი სამხრეთ კავკასიაში, სადაც მთელი მსოფლიოს მასშტაბით სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტებს შეეძლებათ ერთად იმუშაონ და მოახდინონ გამოცდილებისა და ცოდნის გაცვა. ცენტრი მისცემს მის მიერ ადმინისტრირბულ პროგრამებში ჩართულ სტუდენტებს არსებითი ცოდნასა და ექსპერტიზას საერთაშორისო ურთიერთობებსა და გენდერის კვლევაში (საერთაშჯრისო სადოქტორო პროგრამების მეშვეობით) და სამხრთ კავკასიაში ტრანსფორმაციისა და გენდერულ საკითხებთან მიმართებაში (საერთაშორისო ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამების მეშვეობით) რითაც ხელშ შეუწყობს მკვლევრებისა და პროფესიონალების ახალი თაობის გაზრდას.

საერთაშორის სადოქტორო პროგრამები (საერთაშორისო ურთიერთობები, გენდერის კვლევა) და საერთაშორისო ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამები (ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში, გენდერის კვლევა) განვითარებულია სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ხელშეწყობით, ეკუთვნის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და მათ ადმინისტრირებას თსუ-ს ბაზაზე სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი ახორციელებს მისი მიმდინარე პროექტის ”სადოქტორო პროგრამების განვითარება თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე” ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია ღია საზოგადოების ინსტიტუტის უმაღლესი განათლების პროგრამის (OSI HESP) მიერ ცენტრის გრანტის ფარგლებში (გრანტის კოდი: EO476).

ცენტრის მიერ ადმინისტრირებული საერთაშორისო სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაეხმარება დააკმაყოფილოს უმაღლესი განათლების კანონის მოთხოვნები და მიაღწიოს სოციალურ მეცნიერებებში თანამედროვე სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტანდარტებს.

- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ნათლად განსაზღვრული რეგულაციისა და აკადემიური პრაქტიკის მეშვეობით ცენტრი ხელს უწყობს კვლევის სტანდარტების ამაღლებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.
- აღნიშნული საერთაშორისო პროგრამების თსუ-ს ახალგაზრდა პროფესორ-მასწავლებლებს ეხმარება დაამყარონ საერთაშორისო კონტაქტები და ჩაერთონ აკადემიურ ქსელებში როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მათი კვლევის ინტერესების განვითარებასა და ცოდნის გენერირებას.
- სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის პროექტის ფარგლებში შექმნილი სადოქტორო ტრენინგის ერთეული და კვლევის განვითარის ერთეული დაეხმარება თსუ- ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს უნივერსიტეტის შიგნით აკადემიური კულტურის გაუმჯობესებასა და განვითარებაში. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელი გახდება ფაკულტეტის მასშტაბით აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართვით აკადემიურ დებატებსა და მეთოდოლოგიურ დისკუსიებში.
- ცენტრის მიერ ადმინისტრირებული თსუ-ს საერთაშორისო სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამებიდა მიმდინარე კვლევები შექმნიან სამეცნიერო კვლევის მნიშვნელოვან პროდუქციას, სადაც აქცენტი გაკეთდება თანამედროვე საქართველოში მიმდინარე ყველაზე მწვავე და მნიშვნელოვან სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და საერტთაშორისო საკითხების ახსნასა და გაგებაზე.

საერთაშორისო სადოქტორო პროგრამების მართვა და ადმინისტრირება:

თსუ-ს მთავარ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს დაფუძნდეს, როგორ კვლევითი უნივერსიტეტი. შესაბამისად, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი თავის როლს ხედავს თსუ-ს აღნიშნული მიზნის მიღწევის ხელშეწყობაში უნივერსიტეტის შიგნით სოციალურ მეცნიერებათა ახალი საერთაშორისო სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების განხორციელების გზით, აგრეთვე აღნიშნული პროგრამების ინტერნაციონალიზაციისა და გრძელ-ვადიანი მდგრადი განვითარების ხელშეწყობით.

ცენტრის პროექტის მიზანია თსუ-ს ბაზაზე დაარსდეს სოციალურ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლა (GSSS), რომელიც მოიცავს ცენტრსა და თსუ-ს შორის დადებული შეთანხმების შესაბამისად მიმდინარე გრანტის ფარგლებში განხორციელებულ საერთაშორისო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებსა და თანამშრომლობას. ცენტრი ინარჩუნებს ავტონომიურ უფლებას განახორციელოს სოციალურ მეცნიერებებში საერთაშორისო სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების მართვა და ადმინისტრირება ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე. აღნიშნული მოიცავს პროგრამების კურიკულუმების განვითარებას, სასწავლო პროცესის მართვას ადმინისტრაციული პროცედურებისა და რეგულაციების შემუშავებასა და განხორციელებას, რაც თავის მხრივ პირველი წინ გადადგმული ნაბიჯია თსუ-ში სოციალურ მეცნიერებათა საერთაშორისო უმაღლესი სკოლის დაარსებისა და ცენტრის ფარგლებში არსებული ცოდნისა და გამოცდილების გადაცემის მიმართულებით.

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის გრანტის ფარგლებში საერთაშორისო სადოქტორო პროგრამების განხორციელება თსუ-ში შესაძლებელია ცენტრის წინა წლების პროექტის "სამაგისტრო პროგრამების განვითარება სოციალურ მეცნიერებებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში" მიღწევებზე დაყრდნობით (გრანტის კოდი: EO463), და ხელს უწყობს სადოქტორო ტრენინგის პროგრამების შექმნას საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით, რაც თავის მხრივ თსუ-ს კვლევის უნივერსიტეტად დაფუძნების წინაპირობა იქნება. თსუ- ში საერთაშორისო სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების საბოლოო ინსტიტუციონალიზაცია ხორციელდება სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიმდინარე პროექტის ფარგლებში. პროექტის სახელწოდებაა "საერთაშორისო სადოქტორო პროგრამები თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე" და

დაფინანსებულია ღია საზოგადოების ინსტიტუტის უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის მიერ (OSI, HESP , მიმდინარე გრანტის კოდი: EO476**).**

თსუ-ს ბაზაზე სოციალურ მეცნიერებათა საერთაშორისო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განვითარებისა და ადმინისტრირების მეშვობით სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი ხელს უწყობს ადამიანური რესურსების განვიტარებას, აგრთვე მატერიალური რესურსების გაუმჯობესებასა და სოციალურ მეცნიერებებში საერთაშორისო უმაღლესი სკოლის დაარსებას. ამისათვის ცენტრი კოორდინირებასა და ადმინისტრირებას უწევს თსუ-ს კადემიური პერსონალის განვითარებას, კურიკულუმების განახლებას, და აძიერებს სტრუქტურულ ერთეულებს შორის კავშირებს, რათა მოახდინოს სადოქტორო პროგრამების ინსტიტუციონალური განვითარება და შექმნას საერთაშორისო სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულთა პირველი ნაკადი მათთვის კვლევის რესურსებისა და სამომავლოდ აკადემიური განვითარების ხელშეწყობის მეშვეობით. აღნიშნულ აკადემიურ პერსონალს მომავალში შეეძლება დამოუკიდებლად განახორციელოს მაღალი სტანდარტის კვლევა და ხარისხიანი სწავლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე.

თსუ-ს საერთაშორისო სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების ადმინისტრირებაში სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი იწვევს როგორ ადგილობრივ, ქართველ, აგრეთვე საერთაშორისო აკადემიურ პერსონალს, რომლებიც ჩართულები არიან როგორც პროგრამების განვითარებასა და ადმინისტრირებაში, აგრეთვე აკადემიურ ხელმძღვანელობასა და კონსულტაციებს უწევენ სტუდენტებს თსუ-ს ბაზაზე ცენტრის სადოქტორო ტრენინგის ერთეულის შექმნით (DTU) სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი ახორციელებს სემინარებს თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის ადმინისტრირებისა და კვლევის მეთოდების, რითაც ეხმარება სოციალურ მეცნიერებებში კვლევის მაღალი სტანდარტების დანერგვას ფაკულტეტსა და ზოგადად თსუ-შიც. 2012 წელს, ცენტრისა და თსუ-ს თანამშრომლობის საბოლოო შედეგის სახით დაარსდება სოციალურ მეცნიერებათა საერთაშორისო უმაღლესი სკოლა (GSSS), რომელიც გახდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალურ მეცნიერებათა სწავლებისა და კვლევის განვითარების უმთავრესი ერთეული. აღნიშნულ უმაღლეს სკოლას ექნება კარგად განვითარებული კვლევის ადმინისტრაციის ერთეული, აკადემიური სტრუქტურა და სასწავლო რესურსები, რაც დაკავშირებული იქნება საერთაშორისო ქსელებთან და უმასპინძლებს სადოქტორო და პოსტ-სადოქტორო პროგრამებში ჩართულ აკადემიურ პერსონალსა და მკვლევარებს.

საერთაშორისო სადოქტორო პროგრამების ადმინისტრირება ხდება ცენტრის მიერ თსუ-თან დადებული შეთანხმების საფუძველზე (19 ნოემბერი, 2008) . ცენტრის დირექტორი ხელმძღვანელობს ორგანიზაციის აქტივობებს და სუპერვიზიას უწევს ცენტრის ადმინისტრაციულ და აკადემიურ საქმიანობას. თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, მარინე ჩიტაშვილი ასრულებს სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის დირქტორის მოვალეობას დღიდან მისი დაარსებისა - 2003 წლის ნოემბრიდან. აკადემიური პროგრამების ადგილობრივი ხელმძღვანელები (კოორდინატორები) ინიშნება ცენტრის დირექტორის მიერ. გარდა ამისა, სართაშორისო სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამებს ხელმძღვანელობას უწევენ საერთაშორისო აკადემიური ხელმძღვანელები:

- პროფესორი ნილ მაკფარლეინი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი (დიდი ბრიტანეთი), თსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების საერთაშორისო სადოქტორო პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი.
- პროფესორი ჯოანა რეგულსკა, რათგერსის უნივერსიტეტის საერთაშორისო პროგრამების დეკანი (აშშ), თსუ-ს გენდერის კვლევის საერთაშორისო სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების აკადემიური ხელმძღვანელი.
- პროფესორი სტივენ ჯონსი, მაუნტ ჰოლიოკის კოლეჯის ევრაზიისა და რუსეთის კვლევის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (აშშ), ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამის "ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში" აკადემიური ხელმძღვანელი.

პროფესორები სტივენ ჯონსი და აჯოანა რეგულსკა წარმოადგენენ ღია საზოგადოების ინსტიტუტის აკადემიური მხარდაჭერის პროგრამის საერთაშორისო მკვლევრებს (International Scholars of the Academic Fellowship Program of the Open Society Institute Higher Education Support Program; OSI/HESP/AFP).

აღნიშნული პროგრამა ცენტრის ერთ-ერთი უმთავრესი პარტნიორია. პროფესორი ნილ მაკფარლეინი იყო ამ პროგრამის საერთაშორისო მკვლევარი თსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტზე 2005-2010 წლებში. 2010-2011 სასწავლო წლიდან, ცენტრს აგრთვე შემოუერთდება საერთაშორისო ურთიერთობების ახალი საერთაშორისო მკვლევარი - პროფესორი როლანდ დანრეუტერი, პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ვესტმისტერის უნივერსიტეტიდან.

საერთაშორისო სადოქტორო პროგრამებზე სასწავლო პროცესს უძღვება საერთაშორისო აკადემიური ხელმძღვანელი, ხოლო სამაგისტრო პროგრამების დონეზე ჩართულია ქართველი აკადემიური პერსონალიც. ცენტრის აკადემიური პერსონალი შედგება თსუ-ს აკადემიურ პერსონალისგან, AFP-აკადემიური მხარდაჭერის პროგრამის სტიპენდიანტებისგან, ადგილობრივი და უცხოელი მოწვეული ლექტორებისგან, ექსპერტებისგან სხვადასხვა კვლევითი და ანალიტიკური ცენტრებიდან. პროგრამების კურიკულუმების განვითარება და დამტკიცება ხორციელდება სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის აკადემიური საბჭოს მიერ პროგრამების საერთაშორისო აკადემიური ხელმძღვანელების ზედამხედველობით.

ინსტიტუციონალური მდგრადობა

საერთაშორისო სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების ინსტიტუციონალური მდგარდობა მიიღწევა რამოდენიმე ეტაპის მეშვეობით: პირველი - თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა მიმართულებებში აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ტრენინგით, თუ როგორ უნდა წარმართონ საერთაშორისო სადოქტორო პროგრამები. აღნიშნული ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ დავრწმუნდეთ იმაში, რომ თსუ-ს აქვს შესაძლებლობა დამოუკიდებლად წარმართოს საერთაშორისო სადოქტორო პროგრამების ადმინისტრირება მაღალი ხარისხის შენარჩუნებით. მსგავსი ტრენინგების მეშვეობით შეიქმნება თსუ-ს ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ქსელი, სადა ის ხალხი იქნება ჩართული, ვისად აქვს უნარი ეფექტურად უხელმძღვანელონ არამარტო სადოქტორო პროგრამების მართვის პროცესს, არამედ თავადაც განახორციელონ მაღალი ხარისხის კვლევა. მეორე ეტაპი მოიცავს სადოქტორო ტრენინგის ერთეულის დაფუძნებას სოციალურ მეცნიერებებში, და მისი საქმიანობი ფარგლებში საჭირო მაღალი ხარისხის ტრენინგის მიწოდებას არამარტო დოქტორანტებისათვის, არამედ აკადემიური პერსონალისთვისაც. მესამე ეტაპი არის უკვე სოციალურ მეცნიერებათა საერთაშორისო უმაღლესი სკოლის დაარსება, სადაც ჩართული იქნება მაღალკვალიფიციური ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის გუნდი, რომელიც შეუნარჩუნებს უმაღლეს სკოლას უნივერსიტეტის შიგნით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუციური იურიდიული ერთეული სახეს.

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ადმინისტრაცია

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის დირექტორი ზედამხედველობას უწევს აკადემიური პროგრამების დანერგვასა და განხორციელებას და პასუხისმგებელია თსუ-ს ადმინისტრაციასთან, პროგრამის კოორდინატორებთან, საერთაშორისო ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან ურთიერთობებზე. ადმინისტრაციულ საკითხებს აგვარებს სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ადმინისტრაციული დირექტორი, ხოლო ამ პროექტის ფარგლებში სადოქტორო პროგრამების ტრენინგის ერთეულის კოორდინატორი. კვლევების განვითარების ერთეულის ხელმძღვანელი ზედამხედველობას უწევს სადოქტორო პროგრამების სტუდენტების კვლევებს და საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამას "ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში", ამყარებს თანამშრომლობას კვლევითი საკითხების კუთხით უკვე არსებულ ინსტიტუციებთან და პასუხისმგებელია ახალი ფონდების მოძიებაზე. სტუდენტების დეკანი აგვარებს სტუდენტების მომსახურების საკითხებს, სტუდენტების შერჩევას, მიღებას, უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის პროცედურებს, სასწავლო პროცესს, ჩანაწერებს, ა.შ; მას დახმარებას უწევს ადმინისტრაციული ასისტენტი. ტექნიკური მენეჯერი პასუხისმგებელია ადმინისტრაციის, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ტექნიკური უზრუნველყოფაზე. ბიბლიოთეკის მენეჯერი პასუხისმგებელია ბიბლიოთეკის მუშაობასა და მისი რესურსების განვითარებაზე.

აკადემიური საბჭო

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის აკადემიური საბჭო წარმოადგენს წამყვან აკადემიურ სტრუქტურას, რომელიც განსაზღვრავს კურიკულუმის განვიტარების მიმართულებებს და ზედამხედველობას უწევს სასწავლო პროცესებს. აკადემიური საბჭო იკრიბება რეგულარულად (სექტემბერში, დეკემბერში, აპრილსა და ივნისში) აკადემიური პროგრესის შესამოწმებლად და სამეცნიერო ხასიათის მიმდინარე საკითხების გადასაჭრეალდ, რაც გულისმხობს კურიკულუმისა და სასწავლო მეთოდების განახლებას. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის აკადემიური საბჭო შედგება ცენტრის მიერ ადმინისტრირებული პროგრამების აკადემიური პერსონალისგან. აკადემიური საბჭოს როტაციასა და არჩევანს ადგენს GSSS რეგულაცია.

მიმღები კომისია

სტუდენტების მიმღები კომისიის თავმჯდომარეა სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამის საერთაშორისო ხელმძღვანელი, ან ცენტრის დირექტორის მიერ დანიშნული პიროვნება აკადემიური პერსონალიდან; კომისია შედგება დამატებით ორი ცენტრის აკადემიური წევრისგან და დირექტორისა და თავ,ჯდომარის მიერ მოწვეული ექსპერტისგან. კომისიის უპირველეს ფუნქციას წარმოადგენს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების აპლიკანტების შემოწმება (აპლიკაციების შემოწმება, საგამოცდო ფურცლების შემოწმება და ინტერვიუები). მიმღები კომისიის წევრები ინიშნებიან თითოეული დონისთვის ცალკ-ცალკე (ერთი სამაგისტრო პროგრამებისთვის, მეორე კი სადოქტორო პროგრამებისთვის).

სადოქტორო პროგრამებზე მიღების პირველ ეტაპს უზრუნველყოფს საერთაშორისო ხელმძღვანელი. იგი არჩევს კანდიდატებს ინტერვიუებისთვის, შემდეგ კი შერჩეულ კანდიდატებს უტარებს გასაუბრებას. ინტერვიუების შემდეგ, იგი აძლევს რეკომენდაციას მიმღებ კომისიას, რომელიც შემდეგ იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას პროგრამაზე სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ.

კვლევითი პროექტი დაცვის კომისიისთვის

სადოქტორო პროგრამის კვლევითი პროექტის დაცვის კომისიის თავმჯდომარეა სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამების საერთაშორისო ხელმძღვანელი, ან აკადემიური პროგრამის ხელმძღვანელი, ან არჩეული წევრი აკადემიური პერსონალიდან (აქ იგულისმცება ორი წევრი აკადემიური პერსონალიდან და საერთაშორისო ხელმძღვანელის მოწვეული ექსპერტები), და დირექტორი. სამაგისტრო პროგრამების შემთხვევაში კომისიაში შედის პროგრამის ადგილობრივი ხელმძღვანელი. კომისიის უპირველეს ფუნქციას წარმოადგენს სტუდენტების სადოქტორო/სამაგისტრო თეზისების კვლევითი პროექტების შეფასება, პროექტის დამტკიცება ან რეკომენდაციის გაცემა პროექტის გადახალისებაზე. კომისიის წევრები ინიშნებიან ცალკ-ცალკე თითოეული დონისთვის (ერთი სამაგისტრო პროგრამებისთვის, ერთი სადოქტორო პროგრამებისთვის).

სამაგისტრო და სადოქტორო თეზისების დაცვის კომისია

სამაგისტრო ტეზისების დაცვის კომისიის თავმჯდომარეა პროგრამის აკადემიური კოორდინატორი ან აკადემიური წევრი, და მოიცავს ხუთ წევრს, წარმომადგენელს თსუ-ს საოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტიდან, და პროგრამისა კოორდინატორისა და ცენტრის დირექტორის მიერ მოწვეულ ექსპერტებს. კომისიის უპირველეს ფუნქციას წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომების ზეპირი დაცვის შეფასება, რაც დაფუძნებული იქნება პრეზენტაციასა და მოწვეული ექსპერტების შეფასებაზე. სამაგისტრო და სადოქტორო თეზისების დაცვის კომისიის წევრები ინიშნებიან ცალკ-ცალკე თითოეული დონისთვის (ერთი სამაგისტრო პროგრამებისთვის, ერთი სადოქტორო პროგრამებისთვის).

სადოქტორო თეზისის დაცვის კომისიის თავმჯდომარეა საერთაშორისო ხელმძღვანელი, ან პიროვნება აკადემიური პერსონალიდან, რომელსაც ირჩევს დირექტორი საერთაშორისო ხელმძღვანელთან კონსულტაციის საფუძველზე. კომისიაში შედიან ცენტრის დირექტორი, ადგილობრივი ხელმძღვანელი და 2 პიროვნება აკადემიური პერსონალიდან. კომისიის უპირველეს ფუნქციას წარმოადგენს სადოქტორო ნაშრომების ზეპირი დაცვის შეფასება, რაც დაფუძნებული იქნება პრეზენტაციასა და მოწვეული ექსპერტების შეფასებაზე.

სადოქტორო პროგრამების აკადემიური ხელმძღვანელები და მოწვეული პროფესორები

- **პროფესორი ნილ მაკფარლეინი,** ოქსფორდის უნივერსიტეტის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი - სწავლების სფერო "საერთაშორისო ურთიერთობები"

- **პროფესორი ჯოანა რეგულსკა,** ქალთა და გენდერის კვლევის დეპარტამენტი, საერთაშორისო პროგრამების ხელმძღვანელი, რატგერსის უნივერსიტეტი - სწავლების სფერო "გენდერის კვლევა"

პროგრამის აკადემიური პერსონალი

სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების აკადემიური პერსონალის ძირითად ნაწილს წარმოადგენს თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული აკადემიური პერსონალი, აკადემიური მხარდაჭერის პროგრამის სტიპენდიანტები და მოწვეული ლექტორები. ძირითადი აკადემიური პერსონალი პასუხისმგებელია პროგრამის ხარისხზე.
სადოქტორო პროგრამების შემთხვევაში ძირიტადი დისციპლინების სპეციფიურ კურსებს წაიკითხავენ სადოქტორო პროგრამების საერთაშორისო ხელმძღვანელები: პროფ. ნილ მაკფარლეინი და პროფ. ჯოანა რეგულსკა. საბაზისო კვლევის მეთოდებში ტრენინგს ძირითადად წარუძღვება თსუ-ს აკადემიური პერსონალი, რომელიც ჩართული იყო სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის კვლევის მეთოდების მოდულის განვითარებაში.
სამაგისტრო პროგრამების შემთხვევაში, ყველა აკადემიურ წევრს აქვს უფლება იყოს თანახელმძღვანელი. გარდა ძირიტადი აკადემიური პერსონალისა, პროგრამაში ჩართულნი არიან მოწვეული ექსპერტები მიმართულებების მიხედვით. აკადემიური პერსონალის შეუძლიათ იყვნენ კვლევის ხელმძღვანელები ან უხელმძღვანელონ სტუდენტებს სხვადასხვა მიმართულებით.
მათი აკადემიური ინტერესებიდან გამომდინარე სტუდენტებს შეუძლიათ სწავლების პროცესთან, კურსებისა და სემინარების შინაარსთან, სხვადასხვა დავალებებსა და თეზისის წერასთან დაკავშირებით კონსულტაციების გაიარონ სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის აკადემიურ პერსონალთან, ასევე თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პერსონალთან შემდეგ მიმართულებებში: საერთაშორისო ურთიერთობები, გენდერის კვლევა, პოლიტიკური მეცნიერებები და საჯარო პოლიტიკა, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ჟურნალისტიკა, ფიზიკური გეოგრაფია.

ინტერინსტიტუციონალური თანამშრომლობა

თსუ-ს სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების მთავარ ფაქტორს წარმოადგენს თანამშრომლობის გაღრმავება საგანმანათლებლო და კვლევით ინსტიტუტებს შორის საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრს საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს ამ კუთხით. ცენტრს თანამშრომლობა აკავშირებს ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტთან, ოქსფორდის (საერთაშორისო ურთიერთობები), რატგერსის (გენდერის კვლევა), მაუნტ ჰოლიოკის (ტრანსფორმაციის შესწავლა) უნივერსიტეტებთან. საქართველოში, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC), მისი მონაცემტა ბაზის ფართო სოექტრით, თანამშრომლობს სოციალურ მეცნიერებათა ცენტრთან, როგორც აკადემიურ, ასევე ინსტიტუციონალურ დონეზე. აღნიშნულ ორ ინსტიტუტს შორის პირველადი თანამშრომლობა მიღწეულ იქნა ერთობლივი კვლევების ჩატარებისა და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების შესახებ. სოციალურ მეცნიერებატა ცენტრის პროექტის განხორციელების ბოლო ეტაპზე განხილული იქნება საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან ერთად ორმაგი ხარისხის მინიჭების შესაძლებლობები.

ხარისხის უზრუნველყოფა

ხარისხის უზრუნველყოფისთვის საჭირო პროცედურა იქნება ერთ-ერთი მნისვნელოვანი ფაქტორი სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ ადმინისტრირებული თსუ-ს სადოქტორო პროგრამების შემდგომი მდგრადობისთვის. ხარისხის მართვის პროცედურა პროგრამის დასაწყისში მოიცავს თანა-ზედამხედველობა თსუ-სა და მოწვეული მეცნიერების მხრიდან; სადოქტორო პროგრამის სტუდენტების პროგრესის შემოწმება სწავლების სამ სხვადასხვა ეტაპზე; თეზისის შეფასება მოწვეული ექსპერტის მიერ სხვა/უცხოური უნივერსიტეტიდან თეზისის დაცვის ეტაპზე. მოთხოვნა მინიმუმ

ერთი სტატიის ჟურნალში გამოქვეყნების შესახებ შეჰმატებს წონას შემოწმების პროცედურის დროს (მიუხედავად ამისა, აღნიშნული მოთხოვნა უნდა დამტკიცდეს თითოეული ფაკულტეტის მიერ).
პროგრამის აკრედიტაცია ჯერ კიდევ განხილვის დონეზეა ქართულ უნივერსიტეტებში, და უნდა დამტკიცდეს განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის (NCEA) მიერ. ამ ეტაპზე ქართულ უნივერსიტეტებს აქვთ მხოლოდ ინსტიტუციონალური აკრედიტაცია. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტები პასუხისმგებელნი არიან საკუთარი აკადემიური პროგრამების ხარისხსა და შინაარსზე მათი ხარისხის მართვის სამსახურებზე დაყრდნობით. უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ ადმნისტრირებული პროგრამები დამტკიცებულ იქნა თსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ, რამაც საშუალება მისცა ცენტრს შეექმნა და ჩამოეყალიბებინა ინოვაციური აკადემიური პროგრამები. გარდა ამისა, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი ხარისხის კონტროლს უზრუნველყოფს საერთაშორისო ექსპერტების ჩართვით.

თსუ-ს სადოქტორო პროგრამების სტრუქტურა

თსუს-ს სადოქტორო პროგრამების ლეგალური ჩარჩო დადგენილია 2004 წის დეკემბერში კანონით უმაღლესი განათლების შესახებ, თსუ-ს რეგულაციითა და სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის დოკუმენტებით სადოქტორო პროგრამების პროცედურებისა და ნორმების შესახებ. როგორც ეს ზემოთ აღინიშნა სოციალურ მეცნიერებათა ცენტრს აქვს უპირატესობები, რომელიც მას მიენიჭა თსუ-ს მიერ,სადოქტორო პროგრამების კონცეპტუალური ჩარჩოს დანერგვისა და განვითარებისთვის.

სადოქტორო პროგრამების მიმოხილვა:

საერთაშორისო სადოქტორო პროგრამების მიზანს წარმოადგენს ახალი თაობის მეცნიერების მომზადება სოციალურ მეცნიერებებში, რომლებსაც შეეძლებათ კვლევაზე დაფუძნებული სწავლება საუნივერსიტეტო განათლების ყველა დონეზე, შეეძლებათ ახალი ცოდნის გენერირება, გახდებიან საერთაშორისო სამეცნიერო ქსელის წევრები და ხელს შეუწყობენ საკუთარი სპეციალობის ფარგლებში განათლების განვითარებას.
ორივე სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურიკულუმს აქვს სამი ძირითადი მიზანი: მხარი დაუჭიროს და გაამდიდროს სტუდენტების სადოქტორო კვლევა; გააღრმავოს სტუდენტების ცოდნა დისციპლინაში; გააძლიეროს სტუდენტების უნარები, როგორც აკადემიური სპეციალისტების. კურიკულუმებს აქვთ სამი ძირითადი მიმართულება: არსებითი, მეთოდოლოგიური, და მზადება აკადემიური პრაქტიკისთვის.
ორივე პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს სწავლის პერიოდის მინიმუმ სამ სემესტრს, თითოეული მათგანი მოიცავს: სემინარების კვლევის დიზაინის შესახებ (ინტერდისციპლინური მეთოდოლოგია, პროგრესზე მუშაობის სემინარები), დისციპლინისთვის დამახასიათებელი ძირითადი სემინარები და აკადემიური პრაქტიკის სემინარები (სწავლებისა და ხელმძღვანელობის პრაქტიკა, კვლევის მენეჯმენტი, აკადემიური სტატიის წერა, საგრანტო განაცხადის წერა).
სტუდენტების გაივლიან შემდეგ ეტაპებს სწავლის დროს:

- I ეტაპი: ძირითადი მეთოდოლოგიური ტრენინგი თბილისში კონცენტრაციის მოდულებში.
- II ეტაპი: კვლევის დიზაინის სემინარებში ჩართვა და გართულებულ მეთოდების სწავლე საზღვარგარეთ (ბევრ ევროპულ და ამერიკულ უნივერსიტეტს აქვს ინტენსიური ტრნინგები კვლევის მეთოდებში).
- III ეტაპი: სადოქტორო ნაშრომის მომზადება ქართველი მეცნიერისა, როგორც შიდა ხელმძღვანელის, და უცხოელი მეცნიერის, როგორც მოწვეული ხელმძღვანელის ზედამხედველობით.

სადოქტორო პროგრამის დიზაინი:

სწავლების ენა: ინგლისური
სწავლის ხანგრძლივობა: ოთხი წელი

სტუდენტებს მოეთხოვებათ სასწავლო კომპონენტის დაფარვა - არსებითი (დისციპლინისთვის დამახასიათებელი ძირიტადი სემინარები), სემინარები კვლევის დიზაინში და აკადემიური პრაქტიკა (პედაგოგია, აკადემიური წერა/ჟურნალის სტატია, საგრანტო განაცხადი და ააკადემიური პროგრამის ადმინისტრირება) - რასაც დაეთმობა მინიმუმ სამი სემესტრი, და დისერტაციის დაწერა (ხუთი სემესტრი).
სადოქტორო პროგრამისთვის კანონით განსაზღვრულია მინიმუმ 180 კრედიტის (ECTS) დაფარვა, რომლის ძირითადი ნაწილი სტუდენტს ენიჭება დამოუკიდებელი კვლევისთვის. მთლიანი პროგრამა გაყოფილია ორ კომპონენტად **1) კვლევა და 2) სწავლება.**
140 კრედიტი (ECTS) ეთმობა სტუდენტის დამოუკიდებელ კვლევას.
სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი, თსუ-ს რეგულაციის თანახმად, შეადგენს 40 კრედიტს (ECTS), რომელიც იყოფა შემდეგ კომპონენტებად:

- **15 კრედიტი (ECTS) - დისციპლინისთვის დამახასიათებელი ძირითადი კურსები**
- **10 კრედიტი (ECTS) - ტრენინგი კვლევით მეთოდებში**
- **10 კრედიტი (ECTS) - სადოქტორო კოლოქვიუმი I და II**
- **5 კრედიტი (ECTS) - სწავლების ინოვაციური მეთოდები - სწავლების პრაქტიკა**.

სადოქტორო პროგრამებზე სწავლის პროგრესის შემოწმება ხდება სამ ეტაპად: ***პირველ ეტაპზე***, მეორე აკადემიური სემესტრის ბოლოს სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ კვლევითი პროექტები; ***მეორე ეტაპი*** სრულდება სატრენინგო პროცესის ბოლოს, სამი აკადემიური სემესტრის შემდეგ, როდესაც სტუდენტები წარმოადგენენ ნაშრომის კონცეპტუალურ ნაწილს და პირველ არსებით თავს. (აღნიშნული თავების შეფასდება მოწვეული ექსპერტების მიერ). ***მესამე ეტაპზე*** ხდება სრული თეზისის წარმოდგენა, რომელსაც მოჰყვება ნაშრომის დაცვა; დაცვას ასევე ესწრებიან მოწვეული ექსპერტები.

კურიკულუმი დისციპლინების მიხედვით

საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა საერთაშორისო ურთიერთობებში

- I ეტაპი: ძირითადი მეთოდოლოგიური ტრენინგი (მათემატიკა სტატისტიკისა და რაოდენობრივი ანალიზისთვის, სოციალურ მეცნიერებათა ფილოსოფია) თბილისში კონცენტრაციის მოდულებში.
- II ეტაპი: კვლევის დიზაინის სემინარებში ჩართვა და გართულებულ მეთოდების სწავლე საზღვარგარეთ (ბევრ ევროპულ და ამერიკულ უნივერსიტეტს აქვს ინტენსიური ტრნინგები კვლევის მეთოდებში), ტრენინგი აკადემიურ პრაქტიკაში.
- III ეტაპი: სადოქტორო ნაშრომის მომზადება ქართველი მეცნიერისა, როგორც შიდა ხელმძღვანელის, და უცხოელი მეცნიერის, როგორც მოწვეული ხელმძღვანელის ზედამხედველობით.

საერთაშორისო ურთიერთობების სასწავლო კურიკულუმს აქვს სამი ძირითადი მიზანი: მხარი დაუჭიროს და გაამდიდროს სტუდენტების სადოქტორო კვლევა; გააღრმავოს სტუდენტების ცოდნა დისციპლინაში; გააძლიეროს სტუდენტების უნარები, როგორც აკადემიური სპეციალისტების.
კურიკულუმს აქვს სამი მიმართულება: არსებითი, მეთოდოლოგიური, და მზადება აკადემიური პრაქტიკისთვის.
იგულისხმება, რომ სტუდენტები მიიღებენ სათანადო მეთოდოლოგიურ ტრენინგს ციკლის პირველდ ა მეორე ეტაპზე. როგორც წესი, მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობებში წარმოადგენს პრერეკვიზიტს სადოქტორო პროგრამაზე მისაღებად.

პირველი სემესტრის კურიკულუმი (2010 წლის შემოდგომა):

- არსებითი: საკითხთან დაკავშირებული სემინარი (1): კლასიკური ტექსტები საერთაშორისო ურთიერთობებიდან (რვა ორსაათიანი სესია), 5 კრედიტი (ECTS).

- მეთოდი: კვლევის დიზაინის სემინარი (1): კვლევითი კითხვის შერჩევა და ჩამოყალიბება (ექვსი ორსაათიანი სესია), 5 კრედიტი (ECTS).

- აკადემიური პრაქტიკა: სწავლების პრაქტიკა (1): ლექციის წაკითხვა (ექვსი საათნახევრიანი სესია), 2,5 კრედიტი (ECTS).

მეორე სემესტრი (2011 წლის გაზაფხული):

- არსებითი: საკითხთან დაკავშირებული სემინარი (2): თანამედროვე დებატები (ოთხი ორსაათიანი სესია), 5 კრედიტი (ECTS).

- მეთოდი: კვლევის დიზაინის სემინარი (2): მეთოდის შერჩევა და პროექტის დაწერა (ექვსი ორსაათიანი სესია), 5 კრედიტი (ECTS).

- აკადემიური პრაქტიკა: სწავლების პრაქტიკა (2): სემინარის ჩატარება (ექვსი ორსაათიანი სესია), 2,5 კრედიტი (ECTS).

მესამე სამესტრი (2011 წლის შემოდგომა):

- არსებითი: საკითხთან დაკავშირებული სემინარი (3): თანამედროვე დებატები (ოთხი ორსაათიანი სესია), 5 კრედიტი (ECTS).

- მეთოდი: კვლევის დიზაინის სემინარი (3): პროგრესზე მუშაობა (ექვსი ორსაათიანი სესია), 5 კრედიტი (ECTS).

- აკადემიური პრაქტიკა: ჟურნალის სტატიის მომზადება (სამი საათნახევრიანი სესია), საგრანტო პროექტის დაწერა (სამი საათნახევრიანი სესია).

მეოთხე ეტაპი (2012 წლის აპრილ-ივნისი)

- ამ პერიოდში ყურადღება გამახვილებული იქნება სადოქტორო კვლევის განხორციელებაზე.

- აკადემიური პრაქტიკა - პროგრამის ადმინისტრირება (კვლევა და სწავლება) (4 საათნახევრიანი სესია), სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობის ტექნიკა და პრობლემები (4 საათნახევრიანი სესია).

დარჩენილი პერიოდი - ამ პერიოდში ყურადღება გამახვილებული იქნება სადოქტორო კვლევის წარმოებაზე.

საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა გენდერის კვლევაში

სადოქტორო პროგრამის მიზანს წარმოადგენს სტუდენტებს შესტავაზოს ტრენინგ კვლევის მეთოდებში, რომელიც აუცილბელია განათლების მისაღებად აღნიშნულ სფეროში; ასევე უხელმძღვანელოს სადოქტორო ნაშრომებზე მუშაობას კურსის დასრულებამდე. პროფესორი ჯოანა რეგულსკა, რატგერსის უნივერსიტეტი საერთაშორისო პროგრამების ხელმძღვანელი და ქალთა საკითხების კვლევის პროგრამის პროფესორი (აკადემიური მხარდაჭერის პროგრამის სტიპენდიანტი გენდერის კვლევაში 2005 წლიდან), ჩართულია საერთაშორისო სადოქტორო პროგრამაში მოწვეული პროფესორის სტატუსით. გარდა საზღვრაგარეთის ქვეყნებისდან მოწვეული პროფესორებისა, სადოქტორო პროგრამა გულისხმობს სტუდენტების ჩართვას უცხორ უნივერსიტეტებში ჩატარებულ ტრენინგებში და სხვადასხვა ინსტიტუტების მკვლევარების თანა-ხელმძღვანელობას. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი თანამშრომლობს ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის გენდერის კვლევის დეპარტამენტთან და 2006 წლიდან მონაწილეობას იღებს უმაღლესი განათლების პროგრამის (HESP) პროექტში *გენდერის კვლევის პროგრამების განვითარება.* ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის

პროგრამის "გრანტები აკადემიური პერსონალის მობილურობისთვის" გამოყენება შესაძლებელია ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ვიზიტების დასაგეგმად სადოქტორო პროგრამის სტუდენტებთან მათ ტეზისებზე მუშაობისა და სწავლებისთვის. გენდერის კვლევის კურიკულუმით გათვალისწინებულ სხვა კურსებს წაიკითხავს სამაგისტრო პროგრმის "გენდერის კვლევის" აკადემიური პერსონალი.
ტრენინგს აქვს სამი ძირითადი მიზანი:

- ხელი შეუწყოს სტუდენტების სადოქტორო კვლევის წარმოებას;
- გააღრმავოს სტუდენტების ცოდნა დისციპლინაში;
- გააძლიეროს სტუდენტების უნარები, როგორც აკადემიური სპეციალისტების.

საერთაშორისო სადოქტორო პროგრამის "გენდერის კვლევა" კურიკულუმს აქვს სამი ძირიტადი მიმართულება: არსებითი, მეთოდოლოგიური, და მზადება აკადემიური პრაქტიკისთვის.სადოქტორო პროგრამას გენდერის კვლევაში ექნება ძლიერ აქცენტი ინტერდისციპლინურ სწავლებებზე. აქედან გამომდინარე, სტუდენტებს არ მოეთხოვებათ აკადემიური ხარისხის ქონა გენდერის ან ქალთა საკითხების შესწავლაში. პროგრამაზე ჩაბარება შეეძლება ნებისმიერ მსურველს, რომელსაც ექნება მაგისტრის ხარისხი ნებისმიერ სხვა დარგში. სტუდენტები, რომელტაც არ ექნებათ მირებული ტრენინგი გენდერის ან ქალთა საკითხებში, მოეთხოვებათ გაიარონ დამატებითი კურსები იმ სავალდებულო კურსების გარდა, რომელსაც გაივლის პროგრამის ყველა სტუდენტი (ძირითადი კურიკულუმის კურსები). აღნიშნული კურსები შეირჩევა სამაგისტრო პროგრამის "გენდერის კვლევა" კურიკულუმიდან.

<u>პირველი სემესტრის ძირითადი კურიკულუმი (2011 წლის გაზაფხული)</u>

- არსებითი: საკითხთან დაკავშირებული სემინარი (1): თანამედროვე ფემინისტური თეორიები (15 ორსაათიანი სესია).
- მეთოდი: კვლევის დიზაინის სემინარი (1): კვლევითი კითხვის შერჩევა და ჩამოყალიბება (ექვსი ორსაათიანი სესია).
- აკადემიური პრაქტიკა: სწავლების პრაქტიკა (1): ლექციის წაკითხვა (ექვსი საათნახევრიანი სესია).

<u>მეორე სემესტრი (2011 წლის შემოდგომა):</u>

- არსებითი: საკითხთან დაკავშირებული სემინარი (2): თანამედროვე დებატები (ოთხი ორსაათიანი სესია).
- მეთოდი: კვლევის დიზაინი (2): მეთოდის შერჩევა (ექვსი ორსაათიანი სესია).
- აკადემიური პრაქტიკა: სწავლების პრაქტიკა (2): სემინარის ჩატარება

<u>მესამე სემესტრი (2012 წლის გაზაფხული):</u>

- არსებითი: საკითხთან დაკავშირებული სემინარი (3): თანამედროვე დებატები (ოთხი ორსაათიანი სესია).
- მეთოდი: კვლევის დიზაინი (3): პროგრესზე მუშაობა (ექვსი საათნახევრიანი სესია).
- აკადემიური პრაქტიკა: ჟურნალის სტატიის მომზადება (სამი საათნახევრიანი სესია), და საკონფერენციო პრეზენტაცია (სამი საათნახევრიანი სესია).

დარჩენილ პერიოდში ყურადღება გამახვილებული იქნება სადოქტორო კვლევის წარმოებაზე.
იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც არ აქვთ მიღებული ტრენინგი გენდერის ან ქალთა საკითხების შესწავლაში, დაენიშნებათ დამატებითი კურსები. როგორც ზემოთ აღინიშნა, "გენდერის კვლევის" მკაცრად ინტერდისციპლინური ხასიათის გამო, სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს არ

მოეთხოვებათ სპეციფიკური აკადემიური ხარისხი აღნიშნულ სფეროში. სტუდენტები, რომელტაც არ ექნებათ მირებული ტრენინგი გენდერის ან ქალთა საკითხებში, მოეთხოვებათ გაიარონ დამატებითი კურსები იმ სავალდებულო კურსების გარდა, რომელსაც გაივლის პროგრამის ყველა სტუდენტი (ძირითადი კურიკულუმის კურსები), რაც მოიცავს:

- ძირითადი გენდერული და ფემინისტური თეორიები (10 კრედიტი ECTS)
- ქალთა უფლებების ისტორიული ასპექტები (5 კრედიტი ECTS)
- აგენტობა, სუბიექტურობა და სოციალური ცვლილება (5 კრედიტი ECTS)

ჩარიცხვა და ფინანსური დახმარება:

მიღების მოთხოვნები:

- მაგისტრის ხარისხი სოციალურ მეცნიერებებში საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამისთვის; უპირატესობა მიენიჭება მაგისტრის ხარისხს საერთაშორისო ურთიერთობებში.
- მაგისტრის დიპლომი ნებისმიერ აკადემიურ სფეროში გენდერის კვლევის საერთაშორისო სადოქტორო პროგრამისთვის; უპირატესობა მიენიჭება მაგისტრის ხარისხს გენდერის კვლევაში.
- ინგლისური ენის ცოდნა - B2 დონე - სტუდეტებმა უნდა ჩააბარონ თსუ-ს ენების მიერ მომზადებული ტესტი ინგლისურ ენაში ან წარმოადგინონ ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატი (TOEFL IBT 82; IELTS 6.2, Cambridge Certificate, ა.შ.)

სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისთვის მისაღები მოთხოვნა საკმაოდ ღიაა - ნებისმიერ სტუდენტს, ვინც ფლობს მაგისტრის ხარისხს (კანონის უმაღლესი განათლების შესახებ შესაბამისად), შეუძლია ჩაბარება. შერჩევუს პროცესი დაფუძნებული იქნება კვლევით პროექტზე, რომელსაც სტუდენტი მიმრებ კომისიას წარმოუდგენს. ნახევარფინალისტები გაივლიან გასაუბრებას. საბოლოო ჯამში, სტუდენტების მიღება განისაზღვრება აკადემიური პერსონალის (როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი) არსებობით, რომელიც შემლებს კვლევითი ინტერესების დაკმაყოფილებას.

მიღების პროცედურა და შერჩევა

- სააპლიკაციო ფორმის წარდგენა და შერჩევა პირველ ეტაპზე
- ინგლისური ენის გამოცდა (მინიმუმი მოთხოვნა B2 დონე)
- გასაუბრება პირველ ეტაპზე გასული აპლიკანტებისთვის

ყველა დარეგისტრირებულმა აპლიკანტმა უნდა გაიაროს კვლევითი მეთოდების მოდული, რომელიც შედგება შემდეგი კურსებისგან: სოციალურ მეცნიერებათა ფილოსოფია, შესავალი გამოყენებით სტატისტიკაში და სოციალური კვლევის მეთოდები. კანდიდატებს, რომლებსაც გავლილი ექნებათ აღნიშნული კურსები მაგისტრატურაში, შეუძლით მოითხოვონ გათავისუფლება ამ მოთხოვნისგან. ამისთვის, მათ მიმღებ კომისიას და სადოქტორო ტრენინგის ერთეულის კოორდინატორი[1] უნდა წარმოუდგინონ იმ კურსების სილაბუსები, რომელიც გაიარეს და მათ მიერ მიღებული ნიშნები.

[1] კვლევითი მეთოდების მოდული დეტალური შინაარსი მოცემულია დანართში #1

საბუთების მიღების ვადები და მისაღები გამოცდები:

სააპლიკაციო ფორმა:

1. საგანაცხადო ფორმის თავფურცელი
2. სამოტივაციო წერილი* (1)
3. წერილობითი ნამუშევრის ნიმუში* (2)
4. წიგნის ერთგვერდიანი მიმოხილვა* (3)
5. აპლიკანტის რეზუმე
6. აპლიკანტის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და ნიშნების ფურცლის ასლები
7. ინგლისური ენის სერთიფიკატის ასლი (არსებობის შემთხვევაში)
8. პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი
9. სამი ფოტოსურათი, ზომით 3X4, ასევე ჩაწერილი დისკზე
10. დოკუმენტები სამხედრო სამსახურის შესახებ (მხოლოდ საქართველოს მოქალაქე მამაკაცებისთვის)

****სადოქტორო პროგრამის აპლიკაციის კომპონენტები:***

1. **სამოტივაციო წერილი:**
   აპლიკანტებმა უნდა აღწერონ საკუთარი აკადემიური და პროფესიული გამოცდილება, განიხილონ კარიერასტან დაკავშირებული სამომავლო მიზნები და ნათლად ახსნან თუ რატომ სურთ აღნიშნულ პროგრამაზე სწავლა. მათ ასევე უნდა მოიხსენიონ საკითხი, რომლის კვლევაც სურთ.
2. **წერილობითი ნამუშევრის ნიმუში:**
   კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ ათგვერდიანი ნიმუში (ინგლისურ ენაზე). განხილული საკითხები დაკავშირებული უნდა იყოს საერთაშორისო ურთიერთობებთან/გენდერის კვლევასთან ან სოციალური მეცნიერებების სხვა საკითხებთან.
3. **წიგნის ერთგვერდიანი მიმოხილვა:**
   აპლიკანტებმა უნდა მიმოიხილონ ნებისმიერი წიგნი საერთაშორისო ურთიერთობებიდან/გენდერის კვლევისდან, რომელიც მათ ბოლო დროს წაიკითხეს. მათ უნდა აღნიშნონ რას ეხებოდა წიგნი, რა ისწავლეს მისგან და რატომ მოეწონათ (ან არ მოეწონათ) წიგნი.

საბუთების ჩაბარების ვადები და მისაღები გამოცდები:

- 2010-2011 აკადემიეური წლის აპლიკანტების რეგისტრაცია დაიწყება 25 მაისს.
- **<u>14 ივნისი, 17.00 სთ</u>** – ცენტრში საბუთების წარდგენის ბოლო ვადა (აპლიკანტმა უნდა ჩააბაროს ცენტრში როგორც ამობეჭდილი საბუთები, ასევე გააგზავნოს ელექტრონული ვერსია ელ. ფოსტის მეშვეობით შემდეგ მისამართზე: mmikaberidze@ucss.ge); **<u>გენდერის კვლევის აპლიკანტებისთვის საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა შესაძლოა გაგრძელდეს</u>**
- **23 ივნისი, 10.00 სთ.** – ტესტი ინგლისურ ენაში (ტესტი უნდა ჩააბაროს ყველა აპლიკანტმა, ვისაც არ აქვს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატი; TOEFL IBT 82; IELTS 6.2)
- **1 ივლისი** – პირველ ეტაპზე გასული აპლიკანტები მიიღებენ შეტყობინებას ელ. ფოსტის მეშვეობით
- **7 ივლისი** - გასაუბრება
- **10 აგვისტო** - შედეგების გამოცხადება

სტიპენდიები საერთაშორისო სადოქტორო პროგრამებისთვის:

ივანე ჯავახისივილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) საერთაშორისო სადოქტორო პროგრამები ***საერთაშორისო ურთიოერთობებში*** და ***გენდერის კვლევაში*** ფინანსდება ღია საზოგადოების ინსტიტუტის უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის მიერ; მათ ადმინისტრირებას უწევს სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი სრულად დააფინანსებს ქართველი მოქალაქეების სწავლებას სადოქტორო პროგრამებზე 4 აკადემიური წლის განმავლობაში 2010 წლის სექტემბრიდან:

- 5 სტიპენდია საერთასორისო ურთიერთობების პროგრამისთვის
- 5 სტიპენდია გენდერის კვლევის პროგრამისთვის

სადოქტორო პროგრამების ღირებულება:

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი სრულად ანაზღაურებს სტუდენტების სწავლას საერთაშორისო სადოქტორო პროგრამებზე ($ 23,000 თითოეულ სტუდენტზე 1 აკადემიური წლისათვის). სადოქტორო პროგრამის სტუდენტებმა უნდა შეიტანონ ნომინალური გადასახადი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქვეანგარიშზე, რომელიც გაიხსნა სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ ადმინისტრირებული სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისთვის. სადოქტორო პროგრამებზე სწავლის წლიურ გადასახადს შეადგენს 500 ლარი; აღნიშნული გადასახადი დამტკიცებულია სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის აკადემიური საბჭოს მიერ (სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის აკადემიურინ საბჭოს შეხვედრის ოქმი თან ერთვის წინამდებარე დოკუმენტს). სწავლების საფასურს ოთხი აკადემიური წლისთვის შეადგენს 2000 ლარი.

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი ასევე აფინანსებს სტუდენტების ვიზიტს დასავლეთის უნივერსიტეტებში კვლევის მეთოდების კურსის გასავლელად (სწავლის პერიოდში ერთი ვიზიტი თითოეული სტუდენტისთვის). დაფინანსება მოიცავს სწავლის გადასახადს კვლევითი მეთოდების კურსისთვის, მგზავრობას, საცხოვრებელ ხარჯებს. აღნიშნული ვიზიტების ხანგრძლივობა შეადგენს 1 თვეს.

სადოქტორო პროგრამაზე "გენდერის კვლევა" მიიღება შესაძლებელია საერთაშორისო სტუდენტებისთვისაც სწავლების საფასურის გადახდის შემთხვევაში, რომელიც შეადგენს $11,250 ერთი აკადემიური წლისთვის. სწავლის საერთოა დაგადასახადს შეადგენს $ 45,000 (4 აკადემიური წლისთვის). საერთაშორისო სტუდენტების გადასახადს იხდიან თსუ-ს ქვეანგარიშზე, რომელიც გაიხსნა სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ ადმინისტრირებული საერთაშორისო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისთვის. დამატებითი დაფინანსება გამოყოფილი არ არის საერთაშორისო სტუდენტებისთვის.

[სოციალურ მეცნიერებათა ცენტრისა და თსუ-ს ვალდებულებები სადოქტორო სტუდენტებისადმი]

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი და თსუ ვალდებულნი არიან საერთაშორისო სადოქტორო პროგრამების საერთაშორისო ურთიერთობებისა და გენდერის კვლევის სტუდენტებს შესტავაზონ შესაფერისი სასწავლო პირობები; რაც გულისხმობს ტექნიკურ აღჭურვილობას - კომპიუტერები და სამუშაო ადგილი სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ოფისში თსუ-ში, ბიბლიოთეკა, უფასო ინტერნეტი, ელექტრონული საგანმანათლებლო და სამეცნიერო წყაროები (EBSCO Host, Cambridge On-line Journals, ა.შ.). სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს სთავაზობს მათ მიერ შერჩეული და მათი აკადემიური ხელმძღვანელების მიერ მოწონებული ლიტერატურის შესყიდვის შესაძლებლობას. მსგავსი ტიპის აკადემიური ლიტერატურის გამოყენება სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს შეუძლიათ სწავლის პერიოდში, ხოლო სადოქტორო ნაშრომების დაცვის შემდეგ აღნიშნული ლიტერატურა გადაეცემა სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ბიბლიოთეკას.

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი და თსუ (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი) ვალდებულნი არიან დაუთმონ სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს შესაფერისი სასწავლო საათები პედაგოგიაში პრაქტიკის მისაღებად. პედაგოგიური პრაქტიკა ფასდება 5 კრედიტით (ECTS) და მის ფარგლებში შრომის ანაზღაურება არ ხდება თსუ-ს მიერ. თუ სადოქტორო პროგარმის სტუდენტების მიერ წაკითხული ლექციების დატვირთვა აღემატება 5 კრედიტს (ECTS), სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი ასეთი სტუდენტების სიას წარუდგენს თსუ-ს ადმინისტრაციას და თსუ ვალდებულია სტუდენტებს აუნაზღაუროს შრომის საფასური.

რესურსები

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრმა შექმნა ბიბლიოთეკა, რომელიც გამიზნულია სპეციალურად სოციალური მეცნიერებებისთვის; მსგავსი ტიპის ბიბლიოთეკები მცირე რაოდენობით თუ მოიპოვება საქართველოში. აღნიშნული ბიბლიოთეკა გამოიყენება როგორც თსუ-ს სტუდენტების, ასევე აკადემიური პერსონალის მიერაც. პროექტი ითვალისწინებს ბიბლიოთეკის ბაზის მუდმივ განახლებას, რომელის საჭიროებაც განსაზღვრული იქნება სხვადასხვა ტიპის სემინარებზე (ადმინისტრავიული ტრენინგები, კვლევითი ტერნინგები, მეთოდოლოგიური ტრენინგები), ასევე სტუდენტების მოთხოვნის საფუძველზე წიგნების, მონაცემთა ბაზებისა, ელექტრონული ჟურნალები, ა.შ. მონაცემთა ბაზებისა და ბიბლიოთეკის განახლების პროცესი გაკონტროლდება პარტნიორი ინსტიტუტების მიერ ორმაგი ხარჯის თავიდან აცილების მიზნით.

სადოქტორო პროგრამების ხანგრძლივობა

ქვემოთ მოცემულია სადოქტორო პროგრამების ხანგრძლივობისა და ფაზების დროექბითი ასპექტები. კვლევის სემინარის შემდეგ სტუდენტების დაიწყებენ სამ სემესტრიან სწავლებას (მაგ. სექტემბრიდან იანვრამდე და თებერვლიდან ივნისამდე); თითოეული სემესტრი მოიცავს: სემინარებს კვლევითი დიზაინისთვის (ინტერდისციპლინური მეთოდოლოგია და სწავლების სემინარები), დისციპლინისთვის დამახასიათებელი ძირითადი სემინარები, სემინარები აკადემიური პრაქტიკისთვის (სასწავლო პრაქტიკა, კვლევის მენეჯმენტი, აკადემიური სტატიის წერა, საგრანტო განაცხადის წერა).
სტუდენტებს მიეცემათ საშუალება გაატარონ ერთი სემესტრი (ან ნაკლები) რომელიმე უცხოურ უნივერსიტეტში მათი კვლევითი მოტხოვნების შესაბამისად.
სადოქტორო პროგრამებზე სწავლის პროგრესის შემოწმება ხდება სამ ეტაპად: პირველ ეტაპზე, მეორე აკადემიური სემესტრის ბოლოს სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ კვლევითი პროექტები; მეორე ეტაპი სრულდება სატრენინგო პროცესის ბოლოს, სამი აკადემიური სემესტრის შემდეგ, როდესაც სტუდენტები წარმოადგენენ ნაშრომის კონცეპტუალურ ნაწილს და პირველ არსებით თავს. (აღნიშნული თავების შეფასდება მოწვეული ექსპერტების მიერ). მესამე ეტაპზე ხდება სრული თეზისის წარმოდგენა, რომელსაც მოჰყვება ნაშრომის დაცვა; დაცვას ასევე ესწრებიან მოწვეული ექსპერტები).
სადოქტორო ნაშრომს ეყოლება ორი ხელმძღვანელი - ერთი ადგილობრივი და ერთი უცხოელი, თუ იქნება მკვლევარებისა და დაფინანსების საშუალება. თეზისი უნდა შესრულდეს ინგლისურად, მისი დაცვაც აგრეთვე მოხდება ინგლისურ ენაზე თუ თანახელმძღვანელი არის უცხოელი.
სადოქტორო პროგრამის სტუდენტები ლექციებს წაიკითხავენ შეზღუდული ინტენსივობით, რაც შეადგენს მათი სადოქტორო სწავლების ნაწილს. გარდა საკუთარი კვლევისა და სწავლისა, სადოქტორო პროგრამის სტუდენტები ჩართულების იქნებიან საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლებაში. ყველა ფაკულტეტი ვალდებულია ადეკვატურად აუნაზღაუროს მათ შრომა.

სადოქტორო პროგრამების დეტალური ვადები

საერთაშორისო სადოქტორო პროგრამები დაიწყება 2010 წლის სექტემბერში და დასრულდება 2014 წლის დეკემბერში. მთლიანი პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი. ქვემოთ მოცემულია დაგეგმილი აქტივობების დეტალური გეგმა და ვადები.

აკადემიური წელი	**თარიღები**	**აქტივობები**	**სპეციალური ვადები**
I	2010 წლის სექტემბერი - 2011 წლის აგვისტო	სწავლის კომპონენტი და სასწავლო პრაქტიკა	• (საერთაშორისო ურთიერთობები) 2011 წლის ივლისის ბოლო - კვლევითი პროექტის წარდგენა
II	2011 წლის სექტემბერი - 2012 წლის აგვისტო	სწავლის კომპონენტი და სასწავლო პრაქტიკა	• (საერთაშორისო ურთიერთობები) 2011 წლის დეკემბრის ბოლო (სამი სემესტრის შემდეგ) - ნაშრომის კონცეპტუალური

			ნაწილისა და პირველი არსებითი თავის წარდგენა • 2011-2012 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრი - დოქტორანტ-კანდიდატობის დამტკიცება
III	2012 წლის სექტემბერი - 2013 წლის აგვისტო	სასწავლო პრაქტიკა თეზისის წერა ხელმძღვანელის მეთვალყურეობით	
IV	2013 წლის სექტემბერი - 2014 წლის ოქტომბერი	თეზისის წერა თეზისის წარდგენა ზეპირი დაცვა	• 2014 წლის ნოემბრის ბოლო - სადოქტორი ნაშრომების წარდგენა • 2015 წლის თებერვლის ბოლო - სადოქტორო თეზისის დაცვა

სტუდენტების პროგრესი და კანდიდატობა

თითოეული აკადემიური წლის ბოლოს სტუდენტებმა სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ადმინისტრაციასა და აკადემიურ ხელმძღვანელ(ებ)ს უნდა წარუდგინონ პროგრესის სპეციალური ფორმა განხორციელებული სწავლისა, სწავლების და კვლევითი აქტივობების შესახებ, ასევე მიმდინარე აკადემიურ წელს დაგროვებული კრედიტების შესახებ. ყოველწლიურად საერთაშორისო ხელმძღვანელი წარმოადგენს შეფასებას პროგრესის შესახებ. ყოველი აკადემიური წლის ბოლოს, პროგრამების საერთაშორისო ხელმძღვანელი და სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის აკადემიური საბჭო მიმოიხილავს თითოეული სტუდენტის პროგრესს იმის დასადგენად, თუ რამდენად დამაკმაყოფილებელია სტუდენტის მუშაობა. აღნიშნული მიმოხილვების საფუძველზე პროგრამების საერთაშორისო ხელმძღვანელების და სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის აკადემიური საბჭო იღებენ გადაწყვეტილებას სტუდენტის საცდელი სტატუსის ან მისი პროგრამიდან ამორიცხვის შესახებ.
2011 წლის დეკემბრის ბოლოს ან 2012 წლის გაზაფხულის სემესტრის შუა პერიოდში, სტუდენტებმა უნდა წარმოადგუნონ ანგარიში პროგრესის შესახებ - ერთგვერდიანი ახსნა-განმარტება მათი პირველი და მეორე კურსის გეგმის შესახებ, ასევე **ნაშორმის კონცეპტუალური ნაწილი და პირველი არსებითი თავი**. პროგრამის საერთაშორისო ხელმძღვანელი და სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის აკადემიური საბჭო წარამოადგენს მიმოხილვას, რომელიც დაფუძნებული იქნება სასწავლო კომპონენტის კურსის მიმდინარე პროგრესზე, სასწავლო მოთხოვნებზე, ნაშრომის კონცეპტუალური ნაწილისა და პირველი არსებითი თავი ხარისხზე.

აღნიშნული მიმოხილვის შედეგები წარმოდგენილი იქნება წერილობითი ფორმით მეორე აკადემიური წლის ბოლოს და განხილული იქნება კანდიდატად დამტკიცების პრერეკვიზიტად. ამ ეტაპზე წარმოდგენილ უნდა იქნას ხელმძღვანელის წერილობითი ანგარიშიც. უნდა მოხდეს სადოქტორო პროგრამის თითოეული სტუდენტის დამტკიცება კანდიდატად იმისთვის, რომ მათ უფლება მიეცეთ გააგრძელონ სწავლა საერთაშორისო სადოქტორო პროგრამებზე. ეს შეიძლება გაკეთდეს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის აკადემიური საბჭოს თანხმობით მეორე აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრში (2012 გაზაფხული). შესაძლებელია სტუდენტების კანდიდატებად პირობითი დამტკიცება იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს აქვს ერთი ან მაქსიმუმ ორი კურსის დავალიანება. კანდიდატად საბოლოო დამტკიცება მოხდება მხოლოდ ამ ჩავარდნების შევსების შემთხვევაში. სტუდენტის კანდიდატად დამტკიცებით პროგრამების საერთაშორისო ხელმძღვანელი და სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის აკადემიური საბჭო გამოხატავენ მათ მტკიცებას იმის შესახებ, რომ სტუდენტს შეუძლია სათანადო ვადებში დაასრულოს სადოქტორო პროგრამა.

სადოქტორო თეზისის აკადემიური ხელმძღვანელობა

საერთაშორისო სადოქტორო პროგრამების სტუდენტებს ენიშნებათ ორი აკადემიური ხელმძღვანელი. საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვაბელი ავტომატურად ინიშნება სადოქტორო პროგრამის სტუდენტების მთავარ აკადემიური ხელმძღვანელად. გენდერის კვლევის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება დაინიშნოს სადოქტორო პროგრამის სტუდენტის საერთაშორისო აკადემიური ხელმძღვანელად, ან მას შეუძლია წამოაყენოს კანდიდატურა საერთაშორისო მეცნიერთა სიიდან, რომელიც დაკავშირებული იქნება სტუდენტის სადოქტორო კვლევის სფეროსთან. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის აკადემიურ საბჭოს, პროგრამის საერთაშორისო ხელმძღვანელის თანხმობით, უფლება აქვს თითოეულ სტუდენტს დაუნიშნოს ქართველი აკადემიური ხელმძღვანელი, თუ ამას მოითხოვს კონკრეტული სადოქტორო ნაშრომი. სადოქტორო პროგრამის სტუდენტების აკადემიური ხელმძღვანელები მიღებულნი უნდა უყვნენ შესაფერის აკადემიურ სფეროებში, ჰქონდეთ სათანადო გამოცდილება საკუთარი სტატიების საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნების კუთხით და ჰქონდეთ კვლევითი ინტერესი აღნიშნულ სფეროში.

აკადემიური ხელმძღვანელები ეხმარებიან სტუდენტებს კვლევითი უნარების განვითარებაში, აძლევენ მითითებებს კვლევის წარმოებისას და თეზისის წერის პროცესში. ისინი ასრულებენ მენტორის ფუნქციას და ეხმარებიან სტუდენტებს შესაფერისი კვლევითი წყაროების მოძიებაში (საგანმანათლებლო, კვლევითი და ადამიანური) დისერტაციებზე მუშაობისთვის, ასევე ეხმარებიან სტუდენტებს მათი მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნების მირწევაში.

სადოქტორო ნაშრომის წერის პროცედურა და მოთხოვნები

კვლევითი პროექტის მოთხვოვნებია:

- ზომა: 7000-დან 8000 სიტყვამდე
- ენა: ინგლისური
- ფონტი: Times New Roman
- ფონტის ზომა: 12
- ხაზებს შორის დაშორება: 1,5
- თავფურცელი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას

    1. *სადოქტორო პროგრამის სათაური*
    2. *თემის სათაური*
    3. *სტუდენტის სახელი*
    4. *აკადემიური ხელმძღვანელ(ებ)ის სახელი, ხარისხი და სამუშაო ადგილი*
    5. *თარიღი, ინსტიტუტი*

სადისერტაციო პროექტი წარდგენილ უნდა იქნას მეორე სემესტრის ბოლოსთვის (2011 წლის ივლისისთვის) და დამტკიცებულ იქნას საერთაშორისო და ადგილობრივი აკადემიური ხელმძღვანელების და სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის აკადემიური საბჭოს მიერ მესამე სემესტრის ბოლოსთვის (2011 წლის დეკემბერი).
მესამე და მეოთხე წლების უმეტესი ნაწილი ეთმობა სადოქტორო ნაშრომზე მუშაობას. სადოქტორო პროგრამის მეოთხე წელს (2013 წლის შემოდგომის და 2014 წლის გაზაფხულის სემესტრში) ყველა სტუდენტი ვალდებულია ჩააბაროს ზეპირი გამოცდა. ზეპირი გამოცდის მიზანს წარმოადგენს სტუდენტის მიერ თანხმობის მიღება მისი სადისერტაციო ნაშრომის უკვე შესრულებული ნაწილის შესახებ, ასევე მისი კვლევისა და თეზისის წერის შესაძლებლობის შესახებ. სტუდენტის კვლევისა და თეზისის წერის საკითხებში არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში, საბჭო და

ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან მისცენ სტუდენტს შესაბამისი რეკომენდაციები, ასევე გეგმა თუ როგორ გააუმჯობესონ ნაშრომი; სტუდენტებმა უნდა გაითვალისწინონ ის კომენტარები, რომეთაც მიიღებენ წერილობითი ფორმით სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ადმინისტრაციისგან.
მეოთხე აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრში (2014 წლის გაზაფხული) სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ კვლევითი ნაშრომი სტუდენტის სადისერტაციო კვლევის ასპექტების შესახებ კვლევით სემინარზე, რომელზე დასწრებაც ნებადართული იქნება მთელი ფაკულტეტისთვის.

სადოქტორო ნაშრომის წარდგენა

2014 წლის ოქტომბრის ბოლოს სადოქტორო პროგრამის სტუდენტებმა სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ადმინისტრაცია უნდა წარუდგინონ მათი ნაშრომის საბოლოო ვერსია. ნაშრომების ჩაბარების ვადა შეიძლება დადგინდეს უფრო ადრე, თუმცა ნაშრომები უნდა ჩაბარეს 2,5 თვით ადრე დაცვამდე. ზეპირი დაცვის საბოლოო ვადაა 2015 წლის თებერვალი.

სადოქტორო ნაშრომის მოთხოვნებია:

- ზომა: 80,000-დან 100,000 სიტყვამდე
- ენა: ინგლისური
- ფონტი: Times New Roman
- თეზისი უნდა დაბეჭდოს A4 ფორმატში
- ფონტის ზომა: 12
- ხაზებს შორის დაშორება: 1,5 ან 2
- საზღვრები: 2 სმ სიგანე
- ყველა გვერდი, გარდა თეზისის სათაურისა და შინაარსისა, უნდა დაინომროს
- თავფურცელი უნდა შეცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
    1. *სადოქტორო პროგრამის სათაური*
    2. *თემის სათაური*
    3. *სტუდენტის სახელი*
    4. *აკადემიური ხელმძღვანელ(ებ)ის სახელი, ხარისხი და სამუშაო ადგილი*
    5. *თარიღი, ინსტიტუტი*

სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ 3 ნაბეჭდი ვერსია, ასევე CD-ზე ჩაწერილი ელექტრონული ვერსია.

სადოქტორო ნაშრომის წერილობითი შეფასება ექსპერტების მიერ

თეზისის ნაბეჭდი ვერსიის 2 ასლი, ასევე CD-ზე ჩაწერილი ელექტრონული ვერსია შესაფასებლად ეგზავნება კომისიას, რომელიც შედგება ორი მოწვეული ექსპერტისგან. ექსპერტებს ეძლევათ 8 კვირა ნაშრომების წაკითხვისა და წერილობითი შეფასების წარსადგენად სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ადმინისტრაციისთვის. ექსპერტებისთვის უცნობია სტუდენტებისა და მათი ხელმძღვანელების ვინაობა. კომისიის დადებითი შეფასების შემდეგ სტუდენტებს უფლება ეძლევათ გავიდნენ ზეპირ დაცვაზე დაცვის კომისიის წინაშე.

საერთაშორისო სადოქტორო პროგრამების აკადემიური საბჭო

საერთაშორისო სადოქტორო პროგრამების აკადემიური საბჭო შედგება სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის აკადემიური წევრებისგან. აკადემიური საბჭოს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სეხვედრას ესწრება საბჭოს წევრების უმრავლესობა. საერთაშორისო სადოქტორო პროგრამების აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად საბჭოს წევრი შეიძლება იყვნენ საერთაშორისო და ადგილობრივი მკვლევარები/ექსპერტები, რომლებსაც აქვთ დოქტორის ხარისხი. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ირჩევა საბჭოს წევრების უმრავლესობის გადაწყვეტილებით. აკადემიური საბჭოს წევრები ასევე ნიშნავენ აკადემიური საბჭოს მდივანს, რომელიც პასუხისმგებელია ადმინისტრაციულ და საორგანიზაციო აქტივობებზე. აკადემიური საბჭოს შეხვედრა ხდება წელიწადში ორჯერ. აკადემიური საბჭო ამტკიცებს: თითოეული სტუდენტისთვის საერთაშორისო და ქართველ აკადემიურ ხელმძღვანელებს, განიხილავს და ამტკიცებს სადოქტორო ნაშრომების კვლევით პროექტებს, ირჩევს მოწვეულ ექსპერტებს სადოქტორო ნაშრომების დაცვისთვის, ასევე დაცვის კომისიის წევრებს, ადგენს სადოქტორო ნაშრომების ზეპირი დაცვის თარიღებს. ხდება აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილების დოკუმენტურად დამოწმება ოქმების სახით, რომელსაც ადგენს აკადემიური საბჭოს მდივანი და ხელს აწერს თავმჯდომარე.

სადოქტორო ნაშრომების დაცვის კომისია

დაცვის კომისიას ადგენს საერთაშორისო სადოქტორო პროგრამების აკადემიური საბჭო. სადოქტორო ნაშრომების დაცვის კომისია შედგება მინიმუმ 3 გამოჩენილი მეცნიერისგან კონკრეტული სფეროდან და საერთაშორისო სადოქტორო პროგრამების აკადემიური საბჭოს 2 წარმომადგენლისგან. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ადმინისტრაცია სადოქტორო ნაშრომების დაცვის კომისიას წარუდგენს სადოქტორო ნაშრომებს და შეფასების კრიტერიუმებს 4 კვირით ადრე ზეპირ დაცვამდე. სრულ თეზისთან ერთად სადოქტორო პროგრამის სტუდენტები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ თეზისის 30 გვერდიანი მიმოხილვა. დაცვის კომისიის წევრები ვალდებულნი არიან წაიკითხონ დისერტაციის მიმოხილვა და შეაფასონ როგორც თეზისი, ასევე სტუდენტის მიერ ზეპირ დაცვაზე გაკეთებული პრეზენტაცია; შეფასება ხდება იმ შეფასების კრიტერიუმების თანახმად, რომელიც დაადგინა სადოქტორო პროგრამების აკადემიურმა საბჭომ. დაცვის კომისიის თითოეული წევრი ვალდებულია ნიშანი დაწეროს სტუდენტის ზეპირი დაცვის შემდეგ.

სადოქტორო ნაშრომის დაცვის პროცედურა

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ადმინისტრაციისთვის სადოქტორო ნაშრომების ჩაბარების შემდეგ ნაშრომები ეგზავნება 2 სხვადასხვა მოწვეულ ექსპერტს (საერთაშორისო მეცნიერს). ორივე ექსპერტის მიერ დადებითი შეფასების შემთხვევაში ინიშნება სადოქტორო ნაშრომების დაცვის კომისია და დგინდება ზეპირი დაცვის თარიღი. მოწვეული ექსპერტების მიერ ერთი დადებითი და ერთი უარყოფითი შეფასების შემთხვევაში სადოქტორო პროგრამების აკადემიური საბჭო გადაწყვეტს მისცეს თუ არა უფლება სტუდენტს გავიდეს ზეპირ დაცვაზე. მოწვეული ექსპერტების მიერ 2 უარყოფითი შეფასების შემთხვევაში სტუდეტებმა უნდა გდახედონ საკუთარ ნაშრომს და საბოლოო ვერსია წარმოადგინონ 1 წლის ვადაში.
ზეპირი დაცვა საჯაროა. დაცვის შეფასება ხდება შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით. ზეპირი დაცისთვის თითოეულ სტუდენტს ეთმობა 30 წუთი პრეზენტაციისთვის და 20 წუთი კითხვებზე პასუხის გასაცემად. სტუდენტებს უფლება აქვთ წაიკითხონ მოწვეული ექსპერტების მიეღ გაკეტებული შეფასება ზეპირ დაცვამდე; ექსპერებს უფლება აქვთ მოითხოვონ ანონიმურობის დაცვა.
სადოქტორო პროგრამების დაცვის კომისიაა უფლება აქვს არ მიიღოს თეზისი. ამ შემთხვევაში კანდიდატს დოქტორის ხარისხი არ ენიჭება. იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა მნიშვნელოვანი შესწორებები კვლევაში და ნაშრომში, კომისიას შეუძლია არ მიანიჭოს კანდიდატს დოქტორის ხარისხი და უფლება მისცეს სტუდენტს გადაახალისოს და ხელახლა წარადგინოს სადოქტორო დისერტაცია. ამ გადაწყვეტილების ასხვა უნდა მოხდეს დეტალებში სადოქტორო ნაშრომების დაცვის ოქმში.

სადოქტორო ნაშრომის საბოლოო შეფასება

სტუდენტის დაცვის საბოლოო ნიშანი დგინდება მოწვეული ექსპერტებისა და დაცვის კომისიის მიერ დაწერილი ნიშნის საფუძველზე. დადებითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტებს უფლება აქვთ დაამთავრონ პროგრამა და მიიღონ დოქტორის აკადემიური ხარისხი.

დოქტორის ხარისხის დამტკიცება

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი ამზადებს სადოქტორო დიპლომს თითოეული საერთაშორისო სადოქტორო პროგრამისთვის და თსუ-ს ადმინისტრაციას წარუდგენს დოკუმენტაციის სრულ პაკეტს, რომელიც შეიცავს სადოქტორო პროგრამების სტუდენტების სიას, რომლებმაც მიიღეს დოქტორის ხარისხი, ზეპირი დაცვის თარიღებს, მოწვეული ექსპერტების სახელებსა და შეფასებებს და ზეპირი დაცვის ოქმებს, თხოვნით აღნიშნულ სტუდენტებს მიანიჭონ დოქტორის აკადემიური ხარისხი და გასცენ შესაფერისი დიპლომები.

ხარისხის გაუქმება

ხარისხის გაუქმება ხდება თსუ-ს მიერ დადგენილი სადოქტორო პროგრამების შესახებ დოკუმენტის თანახმად.

დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება და დიპლომი

დოქტორის აკადემიური ხარისხის ანიჭებს და შესაბამის დიპლომს გაცემს ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. დიპლომი მზადდება ორ ენაზე: ინგლისური და ქართული. დიპლომის დანართიც მზადდება ორ ენაზე თსუ-ს სტანდარტების შესაბამისად. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი შეიცავს სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულის სახელს, სადოქტორო ნაშრომის სათაურს, მისი ზეპირი დაცვის თარიღსა და საბოლოო შეფასებას. დიპლომს ხელს აწერს თსუ-ს რექტორი, ფაკულტეტის დეკანი და საერთაშორისო სადოქტორო პროგრამის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე. სადოქტორო დიპლომების ასლები ინახება თსუ-ს არქივში და სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ადმინისტრაციაში.

პუბლიკაცია

საერთაშორისო სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულები ვალდებულნი არიან სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ბიბლიოთეკას ჩააბარონ მათი დისერტაციის 10 ასლი, ასევე უფლება მისცენ სოციალურ მეცნიერებათა ცენტრს განათავსონ მათი დისერტაციები ცენტრის ვებგვერდზე და ინტრანეტში.

დასკვნითი საკითხები

წინამდებარე რეგულაცია ძალაში შევა სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის აკადემიური საბჭოს მიერ მისი დამტკიცების შემდეგ, ასევე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის მისი წარდგენისა და დამტკიცების შემდეგ.

ძირითადი მხარდამჭერი და პარტნიორი უნივერსიტეტები:

- უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამა (OSI HESP)
- ოქსფორდის უნივერსიტეტი, პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი
- რატგერსის უნივერსიტეტი
- ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი

საკონტაქტო ინფორმაცია და სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ადმინისტრაცია

მარინე ჩიტაშვილი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის დირექტორი
(+995 32) 102781; mchitashvili@ucss.ge

გიორგი ხელაშვილი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის კვლევების განვითარების ერთეულის ხელმძღვანელი
(+995 32) 102781; gkhelashvili@ucss.ge

მაკო მიქაბერიძე, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის სადოქტორო პროგრამების ტრენინგის ერთეულის კოორდინატორი
(+995 32) 102781; mmikaberidze@ucss.ge

დიანა ლეჟავა, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის სტუდენტების დეკანი
(+995 32) 102781; dlezhava@ucss.ge

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ოფისი, თსუ-ს II კორპუსი,
III სართული, ოთახები №336-338.
ჭავჭავაძის გამზ. #3,
თბილისი 0179, საქართველო
ელ-ფოსტა: contact@ucss.ge
ვებგვერდი: www.ucss.ge

დანართი # 1 - კვლევის მეთოდების მოდული

"საერთაშორისო ურთიერთობებისა" და "გენდერის კვლევის"
საერთაშორისო სადოქტორო პროგრამების აპლიკანტებისა
და
თსუ-ს დოქტორანტებისთვის

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ ადმინისტრირებულ საერთაშორისო სადოქტორო პროგრამებზე "გენდერის კვლევა" და "საერთაშორისო ურთიერთობები" დარეგისტრირებულმა ყველა აპლიკანტმა უნდა გაიაროს კვლევის მეთოდების ტრენინგის მოდული, რომელიც შედგება შემდეგი კურსებისგან: "სოციალურ მეცნიერებათა ფილოსოფია", "შესავალი გამოყენებით სტატისტიკაში" და "სოციალური კვლევის მეთოდები: რაოდენობრივი და თვისებრივი". თუ აპლიკანტს უკვე გავლილი აქვს სამაგისტრო პროგრამის დონეზე იგივე კურსები, მაშინ შესაძლოა ჩაეთვალოთ ეს კურსი და აღარ დასჭირდეთ განმეორებით გავლა. ამ შემთხვევაში აპლიკანტებმა უნდა წარმოადგინონ უკვე გავლილი კურსების სილაბუსები, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი გავლილი საკითხები და ტრანსკრიპტი, იმის დასადასტურებლად, რომ აღნიშნულ კურსში მათ მიიღეს კრედიტი. აღნიშნული საბუთები წარდგენილი იქნება მისაღები გამოცდების კომისიაზე.

საერთაშორისო სადოქტორო პროგრამებზე დარეგისტრირებული აპლიკანტები ავტომატურად დარეგისტრირებულნი არიან კვლევის მეთოდების კურსებზეც. კვლევის მეთოდების კურსები გაგრძელდება 8 კვირის განმავლობაში, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ბაზაზე, თსუ-ს მეორე კორპუსში.

კვლევის მეთოდების მოდული აგრეთვე ღიაა თსუ-ს სხვა სადოქტორო პროგრამების სტუდენტებისთვის. კურსების გასავლელად, დოქტორანტები წინასწარ უნდა დარეგისტრირდნენ სოციალურ მეცნიერებათა ცენტრში.

კვლევის მეთოდების მოდული მოიცავს შემდეგ კურსებს:

1) სოციალურ მეცნიერებათა ფილოსოფია (5 ECTS, 30 საკონტაქტო საათი)

2) გამოყენებითი სტატისტიკის შესავალი (5 ECTS, 30 საკონტაქტო საათი)

3) სოციალური კვლევის მეთოდები (რაოდენობრივი, თვისებრივი) (5 ECTS, 30 საკონტაქტო საათი)

კვლევის მეთოდების ზაფხულის მოდულის კურსების დეტალური აღწერა:

1) სოციალურ მეცნიერებათა ფილოსოფია (5 ECTS, 30 საკონტაქტო საათი);

ლექტორი: თამარ ცხადაძე, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი, "გენდერის კვლევის" საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი;

კურსის მიზნები: კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს სოციალურ მეცნიერებათა ფილოსოფიის ცენტრალური ცნებები და ტენდენციები, სოციალურ მეცნიერებებთან დაკავშირებული ონთოლოგიური, ეპისტომოლოგიური და მეთოდოლოგიური საკითხები; აგრეთვე აუხსნას სტუდენტებს სოციალურ მეცნიერებებში მეცნიერეული ახსნის ალტერნატიული მოდელები და მათი გამოყენების გზები. გააცნოს დებატებს ახსნასა - გაგების წინააღმდეგ, მიზეზ-შედეგობრიობა და ადგილის ინტერნაციონალურობა ამასთან მიმართებაში, სტრუქტურა - სუბიექტის საპირისპიროდ, ობიექტურობა პირადი ჩართულობის საპირისპიროდ და სხვ.

სწავლის შედეგები: კურსის გავლის შედეგად სტუდენტს ექნება მეცნიერების ფილოსოფიის ძირითადი ცნებების საფუძვლიანი ცოდნა, შეისწავლის სოციალურ მეცნიერებათა ფილოსოფიის დომინანტურ ტენდენციებსა და წინააღმდგეობებს, შეიძენს კრიტიკული კითხვისა და ფილოსოფიური ცნებებისა გაგების უნარ-ჩვევებს, აგრეთვე სხვადასხვა პრობლემისა და თვალთახედვის ანალიზისათვის საჭირო არგუმენტაციულ სტრატეგიებს

2) გამოყენებითი სტატისტიკის შესავალი (5 ECTS, 30 საკონტაქტო საათი);

ლექტორები:

ნინო ჯავახიშვილი, თსუ-ს სრული პროფესორი, "გენდერის კვლევის" საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამის ლექტორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

კობა თურმანიძე, თსუ-ს პოლიტიკურ მეცნიერებათა მიმართულების ასისტენტ პროფესორი, "ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში" საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი, კავკასიის კვლევების რესურს ცენტრის დირექტორი საქართველოში;

კურსის მიზნები: სასწავლო კურსი სტუდენტებს სთავაზობს შესავალს სტატისტიკაში და ასწავლის SPSS-ის პროგრამის მოხმარებას. კურსის მიზანია სტუდენტს კარგად გააგებინოს მონაცემთა ანალიზი, ასწავლოს შედეგების ახსნა - ინტერპრეტაცია და შესძინოს მიღებული შედეგების გადაცემისა და პრეზენტაციის უნარი. სასწავლო კურსის პირველი ნაწილი აქცენტს აკეთებს რაოდენობრივი ტექნიკის გამოყენებაზე სხვადასხვა ტიპის მონაცემების შეჯამებისა და პრეზენტაციისათვის. სასწავლო კურსის მეორე ნაწილი ფოკუსირდება სტატისტიკურ დასკვნაზე - როგორ დავაკავშიროთ შერჩევის მახასიათებლები იმ პოპულაციასთან, რომლისგანაც აღებულია შერჩევა. კურსი განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: საშუალოთა შედარება, კატეგორიული მონაცემების ანალიზი, დისპერსიის ანალიზი, კორელაცია და მარტივი წრფივი რეგრესია.

სწავლის შედეგები: კურსის გავლის შედეგად სტუდენტები კარგად შეისწავლიან სოციოლოგიური გამოკითხვისა და მონაცემთა ანალიზის საფუძვლებს; შეიძენენ ცოდნას, თუ როგორ გააკეთონ მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი როგორც ხელით, ასევე SPSS-ის გამოყენებით; სტუდენტები მიიღებენ სტატისტიკურ მონაცემთა აღწერისა და ინტერპრეტირების უნარ-ჩვევებს და შეეძლებათ გამოიყენონ სტატისტიუკური დასკვნა სოციალურ მეცნიერებებში კვლევითი კითხვის გასაანალიზებლად. მათ აგრეთვე ექნებათ უნარი შეაფასონ სოციალურ მეცნიერებებში სტატისტიკური მეთოდების როლი.

3) სოციალური კვლევის მეთოდები (რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები) (5 ECTS, 30 საკონტაქტო საათი)

ლექტორები:

ლია წულაძე, სოციოლოგიის მეცნ. დოქტორი, თსუ-ს საერთაშორისო, ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამების "ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში" და "გენდერის კვლევა" ლექტორი, თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

თინათინ ზურაბიშვილი, მეცნ. დოქტორი, თსუ-ს საერთაშორისო, ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამების "ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში" და "გენდერის კვლევა" ლექტორი; სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ ადმინისტრირებული კვლევის მეთოდების მოდულის ლექტორი, GIPA -ს პროფესორი, კავკასიის კვლევების რესურს ცენტრი.

თამარ ზურაბიშვილი, სოციოლოგიის მეცნ. დოქტორი, თსუ-ს საერთაშორისო, ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამების "ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში" და "გენდერის კვლევა" ლექტორი, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი;

კურსის მიზანი: სტუდენტები შეისწავლიან თუ როგორ ხორციელდება სოციალური კვლევა სხვადასხვა ტიპიპს კვლევის მეთოდების გამოყენებით (როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი) და მიიღებენ ცოდნას, თუ როგორ უნდა დაგეგმონ საკუთარი კვლევითი პროექტი. სტუდენტები დამატებით შეიძენენ საჭირო ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაიგონ და კრიტიკულად შეაფასენო სხვა მკვლევრების მიერ ჩატარებული სოციალური კვლევის შედეგები.

სწავლის შედეგები: კურსის გავლის შედეგად სტუდენტები შეიძენენ საფუძვლიან ცოდნას გამოკითხვის ძლიერი და სუსტი მხარეების, რაოდენობრივი კონტენტ ანალიზის, სიღრმისეული ინტერვიუსა და ფოკუს ჯგუფების შესახებ. მათ შეეძლებად თავად დაწერონ და განახორციელონ სოციალური კვლევის პროექტი ზემოაღნიშნული კონკრეტული კვლევის მეთოდების გამოყენებით და ექნებათ საკმარისი კომპეტენცია იმისათვის რომ იმსჯელონ და შეაფასონ სხვა მკვლევრების მიერ განხორციელებული კვლევის ხარისხი.

<u>კვლევის მეთოდების ძირითადი კურსები</u>
აღნიშნული კურსები ჩატარდება სასწავლო პროცესის დაწყების შემდეგ, სტუდენტი ირჩევს საჭიროების შესაბამისად. ძირითად კურსების მთავარი სამიზნე ჯგუფია საერთაშორისო სადოქტორო პროგრამების სტუდენტები.

კვლევის მეთოდების ძირითადი კურსების მოდული მოიცავს:

1) მონაცემთა ანალიზი

- მრავალცვლადიანი სტატისტიკა
- ფაქტორული ანალიზი
- მრავლობითი რეგრესია

ლექტორები:

კობა თურმანიძე, თსუ-ს პოლიტიკურ მეცნიერებათა მიმართულების ასისტენტ პროფესორი, "ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში" საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი, კავკასიის კვლევების რესურს ცენტრის დირექტორი საქართველოში;

ნინო ჯავახიშვილი, თსუ-ს სრული პროფესორი, "გენდერის კვლევის" საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამის ლექტორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

ანასტასია ქიტიაშვილი – მეცნ. დოქტორი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ ადმინისტრირებული კვლევის მეთოდების მოდულის ლექტორი, თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის მიმართულების ასისტენტ პროფესორი

ლილი ხეჩუაშვილი – მეცნ. დოქტორი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ ადმინისტრირებული კვლევის მეთოდების მოდულის ლექტორი, თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის მიმართულების ასისტენტ პროფესორი

2) თვისებრივ მონაცემთა ანალიზი

- თვისებრივი კონტენტ ანალიზი
- დისკურს ანალიზი (თხრობის ანალიზი, კრიტიკული დისკურს ანალიზი, ფოკუს ჯგუფის დისკურს ანალიზი)

ლექტორები:

თინათინ ზურაბიშვილი – მეცნ. დოქტორი, თსუ-ს საერთაშორისო, ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამების "ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში" და "გენდერის კვლევა" ლექტორი; სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ ადმინისტრირებული კვლევის მეთოდების მოდულის ლექტორი, GIPA -ს პროფესორი

ლია წულაძე - მეცნ. დოქტორი, თსუ-ს საერთაშორისო, ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამების "ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში" და "გენდერის კვლევა" ლექტორი, თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი.